ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1656424

ნომერი: AR1273293

თარიღი : 15.12.2014

გაცემის თარიღი : 25.12.2014

გაცნობის თარიღი : 31.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , (ნაკვეთი 02/068) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოშრევან ნამორაძე პ/ნ 01018000728
- ჯავახიშვილის 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე ნოშრევან ნამორაძემ 15.12.2014 წ. #AR1273293 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 09.12.2013 წ. ქ. თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად.

კოდი: #01.18.01.002.095, ფართობი 1219 კვ.მ.) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა 09.12.2013 წ. #1018085 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 06.12.2013 წ. #1018224 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირება.

აღნშნული ობიექტების (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) განთავსება საჭიროებდა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, საკითხი განიხილა ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ” (სხდომის ოქმი #45 (11.12.2014 წ.)) რომლის წევრთა დადებითი დასკვნის საფუძველზე მომზადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის #2393 ბრძანება და გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საკადასტრო გეგმით #01.18.01.002.095 მიწის ნაკვეთზე.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებითდამტკიცებულსამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებში, კერძოდსაპროექტოობიექტადდაფიქსირდეს: დაბალიინტენსივობისმრავალბინიანისაცხოვრებელისახლი;

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს შემდეგი ჩანაწერები:

- ავტოფარეხები მოეწყოს საცხოვრებელი ბინების რაოდენობის შესაბამისად; -
- ღია ავტოსადგომები მოეწყოს საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრებში; -
- ქვედა სართული/სართულები შესაძლებელია დაიტვირთოს საზოგადოებრივი ფუნქციით;
- მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია: - შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი შენობის კლასიდან გამომდინარე არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს: - მოეწყოს პანდუსი უნარშეზღუდულთა ეტლების გადაადგილებისათვის;
- გამოიყოს ადგილი სანაგვე ყუთების განსათავსებლად;

3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 12-ე კ.მ. #6) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.